ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

განკარგულება:**g-65. 6524243001**
თარიღი:**30/08/2024**

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო

მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მეორე ნაწილის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლისა და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს N27/08/02 განკარგულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო - სააგიტაციო მასალების რეგულირებასთან დაკავშირებით:

ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოს ადგილები დანართის შესაბამისად;

ბ) ამ განკარგულების დანართით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო-სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

გ) საარჩევნო - სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოს, პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

დ) დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება, რომელიც ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება;

ე) ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

ვ) ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);

ზ) ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 3 ცალით;

თ) ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა (ტ. ბარამიძე) უზრუნველყოს საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ვანის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის მიწოდება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ლილუაშვილს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი